



## საქართველოს მთავრობის დადგენილება

N 495 2016 წლის 3 ნოემბერი ქ. თბილისი

„დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“  
საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №56 დადგენილებაში  
ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „დანერგე მომავალი“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 თებერვლის №56 დადგენილებაში ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge), 16/02/2015, 340170000.10.003.018441) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი“:

1. მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ბენეფიციარი უნდა ფლობდეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ერთი საკადასტრო კოდით მის საკუთრებად რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთს ან/და მას მიღებული უნდა ჰქონდეს სახელმწიფოსაგან გრძელვადიანი იჯარით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (იჯარის დარჩენილი პერიოდი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 10 წელს, იჯარის ხელშეკრულება უნდა იყოს

რეგისტრირებული სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში). ამასთან, შესაძლებელია, მიწის ნაკვეთები (ბენეფიციარის საკუთრებაში არსებული ან/და სახელმწიფოსგან გრძელვადიანი იჯარით აღებული) იყოს სხვადასხვა საკადასტრო კოდით, თუ ვერ ხერხდება მათი გაერთიანება გეოგრაფიული მდებარეობის ან/და სხვა ფაქტორის გამო და მათზე მოეწყობა ერთიანი სარწყავი სისტემა. ერთიანი სარწყავი სისტემა უნდა ემსახურებოდეს ერთ ან რამდენიმე მიწის ნაკვეთზე გაშენებულ მრავალწლოვან ბაღს და მისი კომპლექტაცია უნდა შედგებოდეს ერთი ტუმბოსა და წყლის დაგროვების ერთი ავზისგან.“.

**2. დანართი №1 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.**

**მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.**

პრემიერ-მინისტრი



გიორგი კვიციანი

დანართი №1. მრავალწლოვანი კულტურების ნუსხა რეგიონების მიხედვით

რეგიონი	მრავალწლოვანი კულტურები				
	კურკოვანი	კენკროვნები	სუბტროპიკული	კაკლოვანი	თესლოვანი
კახეთი	ატამი, ქლიავი, ტყემალი ბალი, ზეთის ხილი ალუბალი გარგარი	ჟოლო მაყვალი	ხურმა, ბროწეული კივი	კაკალი, ნუში (ორივე გვიანმოყვავი ლე), თხილი	ვაშლი, მსხალი, კომში
შიდა ქართლი	ატამი, ქლიავი, ტყემალი, ბალი გარგარი შინდი ალუბალი	მოცხარი, ხურტკმელი, ჟოლო, მაყვალი	-	კაკალი ნუში	ვაშლი, მსხალი, კომში
ქვემო- ქართლი	ატამი, ქლიავი, ტყემალი, ბალი, გარგარი ალუბალი	მოცხარი, ხურტკმელი, ჟოლო, მაყვალი	ხურმა, ბროწეული	კაკალი, ნუში (ორივე გვიანმოყვავი ლე)	მსხალი, ვაშლი, კომში
მცხეთა- მთიანეთი	ატამი, ქლიავი, ტყემალი, ბალი ალუბალი	მოცხარი, ხურტკმელი, ჟოლო, მაყვალი	-	კაკალი ნუში	ვაშლი, მსხალი, კომში
სამცხე- ჯავახეთი	ატამი, ქლიავი, ტყემალი, ბალი ალუბალი	მოცხარი, ხურტკმელი, ჟოლო, მაყვალი	-	კაკალი	ვაშლი, მსხალი, კომში
იმერეთი	ქლიავი, ტყემალი ბალი ალუბალი	მოცხარი, ხურტკმელი, ჟოლო ლურჯი მოცვი მაყვალი	ხურმა	კაკალი, თხილი	ვაშლი მსხალი
რაჭა- ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	ქლიავი, ტყემალი, ბალი ალუბალი	მაყვალი, ჟოლო	ხურმა	კაკალი, თხილი	ვაშლი, მსხალი, კომში

სამეგრელო - ზემო სვანეთი	ქლიავი, ტყემალი ალუბალი ბალი	ლურჯი მოცვი, მაცვალი, ჟოლო	ხურმა, კივი, ფეიხოა მანდარინი ფორთოხალი ლიმონი	თხილი კაკალი	მსხალი ვაშლი
გურია	ქლიავი, ტყემალი, ბალი ალუბალი	ლურჯი მოცვი მაცვალი ჟოლო	ხურმა, კივი, ფეიხოა მანდარინი ფორთოხალი ლიმონი	თხილი	ვაშლი მსხალი
აჭარა	ქლიავი, ტყემალი, ბალი ალუბალი	ლურჯი მოცვი, მაცვალი, ჟოლო	ხურმა, კივი, ფეიხოა მანდარინი ფორთოხალი ლიმონი	თხილი კაკალი	ვაშლი მსხალი